## ფოთში, ახალი რაიონის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა იგეგმება

გვ. 2

## ამერიკული კორპორაცია ფოთში ნავმისადგომის მშენებლობას დააფინანსებს

გვ. 2

ფასი 50 თეთრი № 35 21 - 28 ნოემბერი 2016 წელი\ გამოდის სამშაბათობით

## ,,ბრძანება ბრძანებისათვის,, ანუ უნდა იხდიდნენ თუ არა სკოლის მოსწავლეები მგზავრობის საფასურს

გვ. 3

## ფოთს მომავალ წელსაც დეფიციტური ბიუჯეტი ექნება...

გვ. 3

## ,,თუ კანონია, ყველასთვის კანონი უნდა იყოს“ ფოთის აგრარულ ბაზარსა და მერიას შორის გაფორმებულ მემორანდუმს მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ

გვ. 4

## კოლხური მუზეუმი მნახველების მოლოდინშია

გვ. 5

## ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-7 საჭადრაკო ფესტივალი ფოთში

გვ. 7

# ,,საუკუნის პროექტის,, განხორციელება ჯერ კიდევ ,,გაყინულია,,...



**ივეტა პაჭკორია**
**ფოთი**

„საუკუნის პროექტად“ წოდებული-წყალდინარების (საკანალიზაციო) სისტემის რეაბილიტაცია, რომელიც ამ ხელისუფლების სავიზიტო ბარათი გახლდათ, დღეისთვის შეჩერებულია. ამის მიზეზებზე ადგილობრივი ხელისუფლება გაჩუმებას ამჯობინებს. მშენებლობის სამსახურის უფროსი ზურაბ ჯამბურია კი ამბობს, რომ ისინი ზედამხედველობას არ უწევენ ამ პროექტს, ამდენად, პასუხსაც ვერ იძლევიან. რეალურად პროექტს სამი ზედამხედველი ყავს - სამუშაოს მწარმოებელი კომპანიის ზედამხდველი, უცხოელი ექსპერტი და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. როგორც გავარკვიეთ, ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ „აზერაგრარტიკინტი“-მ სამუშაოების სრულყოფილად შესრულება ვერ შეძლო და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამაც სამუშაოები შეაჩერა. თავდაპირველად კომპანიაში შეიცვალა ხელმძღვანელობა, სამუშაოების შეჩერების მიზეზი კი რკინა-ბეტონის მილების ნაცვლად პლასტმასის მილების ჩაყრა აღმოჩნდა. უხარისხო მილები უკვე 37 კილომეტრზეა „გაჭიმული“. დღეისათვის მოლაპარაკება მიმდინარეობს ესპანურ კომპანიასთან და სავარაუდოდ, იგი გადაიბა-

დასასრული 2 გვ.

## ფოთელების მოსაზრება ბიუჯეტის პრიორიტეტების შესახებ

გვ. 7

## მე-7 საჯარო სკოლამ 55 წლის იუბილე იზეიმა

გვ. 7

## მე-7 საჯარო სკოლამ 55 წლის იუბილე იზეიმა

გამომცემელი და დირექტორი,
მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია -
599 341 417;
ინგაგვასალია
რედაქტორი
ივეტა პაჭკორია -
597 97 76 18

დისტრიბუციის სამსახური
მარი ალიხანაშვილი
551 122 570-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია -
579 24 11 22

ქეთი ჩებანი
(ფოთი)
598 40 10 23

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

# „საუკუნის პროექტის„ განხორციელება ჯერ კიდევ „გაყინულია„...

დასაწყისი პირველ გვერდზე

რებს სამუშაოებს.

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია ამ თემაზე მხოლოდ საკუთარ ვარაუდებს გამოთქვამს, რადგან ბევრ დეტალზე პასუხი თავადაც არ აქვს იმის მიუხედავად, რომ აზერბაიჯანულ მხარესთან სამუშაოების შეჩერების გამო სატელეფონო საუბარი უკვე ქონდა. არც იმას გამორიცხავს, რომ კომპანიის მესვეურებმა სამუშაოების შეჩერების ან უხარისხო სამუშაოების გამო სრული სიმართლე არ უთხრეს. თოფურია უარყოფს, თითქოს ქალაქს პროექტზე ზედამხედველობა არ აქვს: „პირადად გახლდით სამინისტროში თათბირზე, სადაც ყველა მხარე იჯდა და განიხილებოდა ყველა დეტალი. ზედამხედველობის მხრიდან იყვნენ უცხოური კომპანიის, სამინისტროსა და ქალაქის წარმომადგენლები. ასევე გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენელიც. ტენდერი გამოაცხადა არა ქალაქმა, არამედ რეგიონული განვითარების სამინისტრომ, შესაბამისად, პროექტს წყალმომარაგების კომპანია უკეთებს კოორდინირებასა და ზედამხედველობას. რაც შეეხება შეჩერებულ სამუშაოებს, სატელეფონო საუბარი მქონდა აზერბაიჯანულ ფირმასთან და როგორც მითხრეს, კომპანიაში შესულია აუდიტი და ამის გამო შეჩერდა სამუშაოები". რაც შეეხება 37 კილომეტრზე რკინა-ბეტონის მილების ნაცვლად კომპანიის მიერ პლასმასის მილების ჩაყრასა და სამუშაოების თავიდან შესრულებას, თოფურია კატეგორიულად არ ეთანხმება: „ვერ დაგეთანხმებით, რომ რაც გაკეთდა, ის გამოსაცვლელია. ძალიან ცუდია ასეთი ინფორმაციის გავრცელება. მოსახლეობაც იგივე კითხვებს მისვამს. მე ასეთი ინფორმაცია არ მაქვს. ტენდერში გამარჯვებულ ნებისმიერ კომპანიას უფორმდება ხელშეკრულება როგორ უნდა გააკეთონ, რა მასალისგან დაამზადონ და სხვა დეტალები. არამგონია, კომპანია ზარალზე წავიდეს და ხელშეკრულებაში გაწერილი პუნქტები არ გაითვალისწინოს. ვფიქრობ, ხელშეკრულება არ დარღვეულა, ეს ჩემი პოზიცია და ვარაუდი გახლავთ. ქალაქის ინტერესშია აღნიშნული პროექტის დროულად დამთავრება".

თოფურიასგან განსხვავებული პოზიცია გააჩნია წყალმომარაგების კომპანიას და აცხადებს, რომ სამუშაოები ხელახლა უნდა ჩაატაროს ახალმა კომპანიამ. როგორც ჩანს, ჩვენთან საუბრისას საკრებულოს თავმჯდომარე არ იყო ინფორმირებული ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ცვლილებასთან დაკავშირებით. შევეცადეთ, საკრებულოს თავმჯდომარესთან გაგვერკვია, რატომ არ აქვს ქალაქის მშენებლობის სამსახურს ინფორმაცია და ზედამხედველობა აღნიშნულ სამუშაოებზე. „საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოა და აქვს თავისი ფუნქცია. ეს სამსახური კი მერიის დაქვემდებარებაშია. პირადად მე, სამუშაოების დაწყების დროს დავდიოდი და ვათვალიერებდი, მსიამოვნებდა ქალაქისთვის რომ კეთდებოდა ასეთი მასშტაბური პროექტი" - გვითხრა თოფურიამ.

აღნიშნულ საკითხზე საკრებულოს წევრს სევერიან შენგელიას კი საკუთარი მოსაზრება გააჩნია. როგორც ამბობს, დღეისათვის ამ თემის ირგვლივ გამეფებული სიჩუმე საეჭვოდ მიაჩნია. ფიქრობს, რომ აზერბაიჯანული ფირმის უკან მისთვის ჯერჯერობით უცნობი ფირმა დგას: „ორი თვის წინ პირადი კონტაქტების საშუალებით მივიღე ინფორმაცია, რომ ეს კომპანია არაჯეროვნად ასრულებდა სამუშაოებს, მოგვიანებით ეს გავახმოვანე საკრებულოს სხდომაზეც. ჩემი ინფორმაციით ის სამშენებლო მასალები, რომელიც გამოიყენეს, არ შეესაბამება ხარისხობრივად და მოცულობითაც სტანდარტებს. როგორც ჩანს, აზერბაიჯანული ფირმა თავიანთ ფრანგი ლობისტებთან შეთანხმებულიც კი იყო. ის კი არადა, მოგვიანებით როგორც გაირკვა, ეს აზერბაიჯანელები სულაც არ არიან აზერბაიჯანელები, უფრო სწორად აზერბაიჯანული ფირმის სახელი, რომელსაც ტენდერში მონაწილეობის გამოცდილება და საშუალება ქონდა, გამოიყენეს სულ სხვა ფირმამ და ადამიანებმა. ეტყობა, ფირმის შიგნით მოხდა გაუგებრობა. ადგილობრივ ხელისუფლებას მხოლოდ მეთვალყურის როლი გვაკისრია. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სტადიონთან მიმართებაშიც, აღმაშენებლის სახლების ფასადების შეკეთებასა თუ კიდევ სხვა სატენდერო სამუშაოებთან. ანალოგიური პროექტი იყო ქუთაისში, რომელიც დღეისათვის იგივე მიზეზებით გაჩერდა. საეჭვო სიჩუმეა ამ საკითხთან დაკავშირებითაც" .

ისმის ლოგიკური კითხვა, რა ფუნქცია გააჩნია მერიას მსგავს შემთხვევაში? მერიამ არ იცის მისი საოცნებო პროექტი რა მდგომარეობაშია, საკრებულო კი მხოლოდ სატელეფონო საუბრით შემოიფარგლება. მიტოვებილი პროექტი კი როდის დამთავრდება, ამაზე პასუხს ვერავინ გვაძლევს.



ერთი ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.5311 ლარი გახდა. ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. ხვალიდან, ერთი დოლარის ოფიციალური



ფასი 2.5311 ლარი გახდება. კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2.5078 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0233 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა. კერძოდ, ხვალიდან ერთი ევროს შეძენა 2.6825 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 2.6670 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0155 ლარი შეადგინა.

# უფასო სამედიცინო გამოკვლევები ფოთში

აფხაზეთის მთავრობის ინიციატივითა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, ფოთში, უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდა როგორც დევნილი ასევე ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

სამედიცინო გამოკვლევების პროცესს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქეთევან ბაკარაძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თენგიზ კვირტია და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი მაია მაკალათია ესწრებოდნენ.

აქციაში სამედიცინო დაწესებულებების წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობდნენ. მოქალაქეებს მაღალკვალიფიციური ლაბორატორიული და ულტრასონოგრაფიული კვლევები ჩაუტარდათ. დევნილ მოსახლეობას სხვადასხვა პროფილის ექიმებთან კონსულტაციების შემდეგ დანიშნულების შესაბამისად მედიკამენტები უფასოდ გადაეცათ.

სამედიცინო ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ: ოჯახის ექიმი, თერაპევტი, პედიატრი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი, ქირურგი, ოფთალმოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, ენდოკრინოლოგი, უროლოგი, ულტრასონოგრაფიის აპარატით აღჭურვილი სპეციალისტი, დერმატოლოგი და ლაბორანტი.

# ფოთში, ახალი რაიონის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა იგეგმება

ფოთში, დევნილთა ხელშეწყობის მიზნით ,ახალი რაიონის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა იგეგმება. ამის შესახებ განცხადება ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კაკულიასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილის, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრ „აფხაზეთი"-ს აღმასრულებელ დირექტორ ბატონ ნუკრი მილორავასთან შეხვედრისას გაკეთდა. ახალ დასახლებაში აშენებული საბავშვო ბაღი გათვლილი იქნება როგორც იძულებით გადაადგილებული, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

შეხვედრისას ისაუბრეს ასევე არაფორმალური განათლების ჯგუფების შექმნაზე, რომლებიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებს სასკოლოდ მოამზადებს. აღნიშნული ჰუმანიტარული ცენტრი ევროკავშირის დაფინანსებით,საქართველოს მასშტაბით დევნილთა ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს



# ამერიკული კორპორაცია ფოთში ნავმისადგომის მშენებლობას დააფინანსებს

საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაცია (OPIC) ფოთში კომპანია „პეის ტერმინალის" ტერიტორიისა და ახალი ნავსადგურის აკვატორიაზე ნავმისადგომის კომპლექსის მშენებლობას დააფინანსებს.

პროექტის ღირებულება 100.5 მილიონი დოლარია, აქედან OPIC-ის თანამონაწილეობა 50 მილიონი დოლარია.

პროექტის დასამტკიცებლად თბილისში OPIC-ის მმართველი დირექტორი, ქენეთ ენჯელი ჩამოვიდა, ვიზიტის ფარგლებში ის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, დიმიტრი ქუმსიშვილსაც შეხვდა.

როგორც ეკონომიკის სამინისტროში აღნიშნავენ, ნავმისადგომის მშენებლობის პროცესში 100-მდე პირი დასაქმდება, ხოლო პორტის გახსნის შემდეგ 90 - მდე ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

ნავმისადგომის გარდა, OPIC-ის დაფინანსებით თბილისში 120-საწოლიანი დედათა და ბავშვთა ამერიკული სამედიცინო ცენტრიც გაიხსნება. საავადმყოფო ამერიკული სტანდარტებით აშენდება, რაც, ჯამში, 27 მილიონი დოლარი დაჯდება. Iჩ-ის თანამონაწილეობა 17 მილიონ დოლარს შეადგენს.

„ეს იქნება პირველი პედიატრიული საავადმყოფო ქვეყანაში, რომელიც ფლობს ჟჩI აკრედიტაციას. თბილისში მდებარე ცენტრი გახდება რეგიონული მნიშვნელობის ჰაბი და მოემსახურება პაციენტებს არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ მეზობელი ქვეყნებიდან",- აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში.

OPIC ამერიკული საფინანსო ინსტიტუტია, რომელიც აშშ–ის კერძო სექტორთან თანამშრომლობს და მას განვითარებად ბაზრებზე შესვლაში ეხმარება. საქართველოში ინვესტიციებს 1993 წლიდან ახორციელებს, მათ შორის, საფინანსო სექტორში, ტურიზმში, სოფლის მეურნეობაში,განათლებაში, სამთო მრეწველობასა და უძრავი ქონების სექტორში, აგრეთვე ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის წვდომას დაფინანსების წყაროზე. საქართველოში უკვე 500 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა და ჩართულია 20-ზე მეტ მიმდინარე პროექტში

# „ბრძანება ბრძანებისათვის„ ანუ უნდა იხდიდნენ თუ არა სკოლის მოსწავლეები მგზავრობის საფასურს

ქეთი ჩებანი
ფოთი

ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის ივლისის № 495 ბრძანებით, ქალაქში მომუშავე სამარშრუტო ტაქსებისა და ავტობუსების მძღოლები ვალდებულნი არიან სკოლის მოსწავლეები უფასოდ ამგზავრონ დღის ნებისმიერ მონაკვეთში (დილა, შუადღე საღამო). ასეთი ბრძანების მიუხედავად მძღოლები ამ პირობას სისტემატურად არღვევენ. ეს პრობლემა ჩვენმა გაზეთმა არა ერთხელ გააშუქა. როგორც მერიის ტრანსპორტის სამსახურში გვითხრეს, ჩვენი ერთ-ერთი ბოლო სტატიის შემდეგ მძღოლებს მკაცრი გაფრთხილება მიეცათ, მაგრამ მსგავსი ფაქტების აღმოფხვრა ვერა და ვერ მოხერხდა. მოსწავლეები პრეტენზიებს გამოთქვამენ ზოგი მძღოლის მხრიდან უხეშ და შეურაცხმყოფელ მოპყრობაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული განკარგულება უკვე წელიწადნახევარია გამოიცა, მაგრამ მოსწავლეების უმრავლესობას ამ ბრძანების არსებობაზე წარმოდგენაც არ აქვთ, თუმცა გაუგებარია, რატომ არ იციან მოსწავლეებმა თავიანთი უფასოდ მგზავრობის უფლების შესახებ ან ვის ევალება მათთვის ამ ინფორმაციის მიწოდება. რა აზრი აქვს კანონსა თუ დადგენილებას, თუ მხოლოდ ქაღალდზე წერია და არავინ იცის და სარგებლობს მისი სიკეთით? არადა, ცნობილია, რომ სწორედ ამ ბრძანების გამოსვლის შემდეგ სამარშრუტო ტაქსის მძღოლებს საშემოსავლო გადასახადი 50 ლარიდან 25 ლარამდე შეუმცირდათ. მძღოლებს საშემოსავლოს შემცირების შესახებ სიტყვიერად აცნობეს. მძღოლები კი სულ სხვას ამტკიცებენ: „არაფერიც არ შეუმცირებიათ. ძალიან ბევრ გადასახადს ვიხდით ისედაც, არც რამე შეთანხმება ყოფილა და არც იმაზე გავუფრთხილებივართ, რომ სკოლის მოსწავლეების უფასოდ ტარება მევალება. ეს ჩემი კეთილი ნებაა და დაბალი კლასის მოსწავლეებს არ ვახდევინებ მგზავრობის საფასურს" - გვითხრა ერთ-ერთმა მძღოლმა.

სამარშრუტო ტაქსის მძღოლები ჟურნალისტებთან მაინცდამაინც სიტყვაუხვნი არასოდეს არიან და კომენტარს მუდამ ერიდებიან ამიტომ მათ, ასე ვთქვათ, „შინაურულად" გავესაუბრე. № 20 სამარშუტო ტაქსის მძღოლი მეუბნება, რომ 8-კლასამდე მოსწავლეებს მგზავრობის საფასურს არ ახდევინებს, მაღალი კლასების მოსწავლეებმა კი უნდა გადაიხადონ: „კი მაგრამ, რატომ არ უნდა გადაიხადონ? ეს „მარშუტკა" კერძოა, უამრავი გადასახადი უნდა გადავიხადო და ხომ უნდა დამრჩეს ორიოდე თეთრი? მეთერთმეტე კლასელი რომ ამოვა და ადგილს დაიკავებს, რატომ არ უნდა გამოვართვა ფული? პატარებს ვაფრთხილებ, ადგილი არ დაიკავონ, გასვლის დროს ამოვიდნენ და არც გადაიხდიან. მეხუთე-მეექვსე კლასამდე პრობლემა არაა. ჯერ ლოგიკურადაც რომ ვიმსჯელოთ, სკოლის მოსწავლე სკამზე დაჯდეს და მოხუცი ფეხზე დადგეს? ან მე-9 კლასელი რომ სკამს დაიკავებს, ფული როგორ არ უნდა გადაიხადოს?" ერთ-ერთმა მძღოლმა ისიც კი თქვა, სკოლის მოსწავლეს, რომელსაც უკანასკნელი მოდელის ტელეფონი უჭირავს, მგზავრობის საფასური რატომ არ უნდა გადავახდევინოო. იმასაც ამბობენ მძღოლები, თუ სკოლის მოსწავლეები უფულოდ დამიჯდებიან და ფულიანი მგზავრები გარეთ დავტოვე, მე რაღა წავიღო სახლშიო. როცა შევნიშნეთ, ზოგიერთი მოსწავლის მშობელს არათუ ტელეფონის, პურის საყიდელი ფულიც არ გააჩნია-მეთქი, მხრები აიჩეჩა და მიპასუხა - მე რა ვქნა?

№ 5 სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა ჩვენგან გაიგო ბრძანების არსებობის შესახებ: „მსგავსი ბრძანების შესახებ არაფერი მსმენია, მაგრამ უფროსკლასელები თუ გადაიხდიან, მათი ნებაა, თორემ დაბალკლასელები ისედაც არ იხდიან. ისე, ზოგჯერ ვერც გაარჩევ სკოლის მოსწავლეა, თუ სტუდენტი, ისე ჩაცმულები არიან".



ნებართვის მფლობელის მოთხოვნა;
ბ) ნებართვის მფლობელის ლიკვიდაცია;
გ) კანონით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა;
დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.
6. ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის მფლობელს დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
7. ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ორგანოში და ვადებში.
8. ნებართვის გაუქმება ფორმდება მისი გამცემის მიერ, რაც ნებართვის მფლობელს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში.
9. სანებართვო მოწმობა გამცემს უნდა დაუბრუნდეს ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში.
10. სანებართვო მოწმობის დადგენილ ვადაში ჩაუბარებლობისას მისი მფლობელი პასუხს აგებს როგორც ნებართვის გარეშე მომუშავე პირი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 03 ოქტომბრის №814 ბრძანება

1. განისაზღვროს საკონკურსო პირობები, კერძოდ:
ა) „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 მაისის N13/15 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.
ბ) კონკურსში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს სკოლის მოსწავლეების უფასო მომსახურება დღის ნებისმიერ დროს (დილა, შუადღე, საღამო). აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელის მიმართ გატარდება მოქმედი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები.
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 მაისის N13/15 დადგენილების დანართი N2-ის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კონკურსში გამარჯვებულმა, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების უფლების მინიჭებამდე წინასწარ უნდა გადაიხადოს 1 (ერთი) თვის თანხა, ხოლო ერთი თვის შემდეგ ყოველ თვე 1 (ერთი) თვის გადასახდელი თანხის ოდენობით არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლის (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება სანებართვო პირობების დარღვევით) თანახმად ნებართვის მფლობელი დაჯარიმდება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
მუხლი 135. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე

1. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება სანებართვო პირობების დარღვევით –
გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.
2. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება შესაბამისი ნებართვის გარეშე –
გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.
შენიშვნა: 1. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი სამსახური, ფიზიკური ან იურიდიული პირი უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ კონტროლის განმახორციელებლის მიერ ნებართვის მფლობელისთვის სანებართვო პირობების დარღვევის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დარღვევის ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ ვადაში აღმოუფხვრელობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ამ კოდექსის ... მუხლით დადგენილი წესით.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილითგანსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოლის მოსწავლეები როგორც ამბობენ, მძღოლები უფასოდ მგზავრობის შემთხვევაში შეურაცხმყოფელ შენიშვნას აძლევენ, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ყველა მძღოლი ნამდვილად არ იმსახურებს საყვედურს ამ მხრივ. როგორც სტატიის თავშივე აღვნიშნეთ, გამოკითხულ ბავშვთაგან არავინ იცოდა, რომ მძღოლს მათი უფასოდ გადაყვანა ბრძანებით ეკისრებათ.

Teona 11 wlis. - როცა ფულს არ ვიხდი, ზოგი მძღოლი მეჩხუბება, მაგრამ არიან ისეთი მძღოლებიც, რომლებიც პირიქით, არ გვართმევენ პატარებს ფულს".

mia 12 wlis - „როცა ჩავდივარ, მადლობას ვეუბნები, მაგრამ ზოგიერთები გვეჩხუბებიან, საუბარი არ არის ადგილების დაკავებაზე, ფეხზეც რომ ვდგავართ, მაშინაც გვეჩხუბება ზოგი მძღოლი".

nino 12 wlis - „ჩავდივარ და მადლობას ვუხდი მძღოლს, ასე ბევრი იქცევა. ზოგი ბუზღუნებს, მაგრამ ყველაზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. მაინც დიდი მადლობელი ვარ მძღოლების, რომ გადავყავართ სახლში, ან სკოლაში".

daTo 13 wlis - ერთხელ ძალიან მეჩხუბა მძღოლი და ამის მერე სულ ვიხდი მგზავრობის ფულს.

gio 12 wlis - არ ვიხდი ფულს, მძღოლი არ მახდევინებს, როცა ადგილებია ვზივარ, მაგრამ თუ ასაკოვანი ამოვიდა, ადგილს ვუთმობ.

mariami 15 wlis- ვიხდი ფულს, მაგრამ არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებსაც არ აქვთ ყოველდღე გადასახდელი და ფეხით დადი-

დასასრული 4- გვ.

# ფოთს მომავალ წელსაც დეფიციტური ბიუჯეტი ექნება...

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ადგილობრივი ხელისუფლება 2017 წლის ბიუჯეტის დასამტკიცებლად ემზადება. გასულ კვირას მერიიდან საკრებულოსთვის ჩამოგზავნილი ბიუჯეტი მერიას, შენიშვნებით უკან დაუბრუნდა. ბიუჯეტი საკრებულოს კომისიებმა შეისწავლეს და შენიშვნებიც დააფიქსირეს. გაითვალისწინებს თუ არა მერია შენიშვნებს, მისი ნებაზეა დამოკიდებული და ასეთ შემთხვევაში ბიუჯეტს საკრებულო-მერიას შორის მოგზაურობა მოუწევს. ადგილობრივ ხელისუფლებას ბიუჯეტის დასამტკიცებლად ვადა 10 დეკემბრამდე აქვს. მომავალი წლის ბიუჯეტი 17 მილიონი ლარით განისაზღვრა, ეს მხოლოდ საშემოსავლო ნაწილი გახლავთ, რადგან ტრანსფერი ჯერჯერობით ფოთს წელსაც არ დაუმტკიცეს, რისი მიზეზიც მერიისთვის კვლავაც უცნობია და ამ თემაზე საუბარი უჭირთ, თუმცა იმედს არ კარგავენ, რომ წლის განმავლობაში ტრანსფერს მიიღებენ. მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის ვასილ თოდუას განმარტებით, ხარჯებიც ბიუჯეტის შესაბამისად განისაზღვრა. ძირითადი მიმართულება და პრიორიტეტი მომავალ წელსაც ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, კულტურისა და სპორტის ხელშეწყობაა: „ჩვენი მომავალი წლის ბიუჯეტის ტრანსფერი ჯერ არ დაგვიმტკიცდა. მიზეზი არ ვიცით, უბრალოდ, საშემოსავლო იგეგმება ცოტა უფრო დიდი, ვიდრე ფაქტობრივად არის შემოსავალი. 4 700 000 ლარით არის დაგეგმილი მიმდინარე წლის საშემოსავლო. შემოსული კი 1 800 000 ლარია. მომავალი წლისთვის 3 მილიონი იგეგმება, მაგრამ პრაქტიკულად 2 500 00 მეტი ალბათ არც მომავალ წელს იქნება, ანუ დეფიციტი ისევ მილიონი ლარი შეიქმნება".

საკრებულოს ოპოზიციონერი წევრების განმარტებით, მომავალი წლის ბიუჯეტი 2016 წლის ბიუჯეტის ანალოგიურია, რაც გასულ წელს არ იყო საკმარისი და მათთვის გაუგებარია, წელს როგორ იქნება საკმარისი? ოპოზიციონერი გიორგი შამუგიას თქმით, ბიუჯეტის უკან დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი გამოთანაბრებითი ტრანსფერის უქონლობაა: „არათუ გათვალისწინებული არ არის, საერთოდ საუბარიც არ არის გამოთანაბრებით ტრანსფერზე". თოდუა კი ამბობს, რომ კონკრეტული შენიშვნები არ ყოფილა და ყველას მოსაწონ და ყველა სამსახურზე მორგებულ ბიუჯეტს ვერ შექმნიან: „უმოკლეს დროში გვექნება მერთან შეხვედრა და შევჯერდებით".

სანდო წყაროების ცნობით, ბიუჯეტი სხვადასხვა სამსახურების ლობისტ საკრებულოს წევრებზეა მორგებული. როგორც საკრებულოს ზოგმა წევრმა პირად საუბრებში გვითხრა, ფოთის მერი საკრებულოს მეგობარი წევრების განაწყენებას მოერიდა, რადგან ასეთი რეკომენდაცია მისცა თანამშრომლებს - „ჩვენი მეგობრები არიან და ნუ გავანაწყენებთ".

მომავალი წლის ბიუჯეტში ბევრი უცნაურობები გვხვდება, მაგალითად; საცხოვრებელი სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე გამოყოფილია 100 000 ლარი, ამავე დროს ბაზართან არსებულ ხიდზე განათების მოწყობა დაფინანსდება 80 000 ლარით. თუ მცირე მოკვლევას გავაკეთებთ, აღმაშენებლის ხიდზე 16 განათების ბოძია, შესაბამისად, იგივე განათების ბოძები განთავსდება. ამ შემთხვევაში, ერთი განათების ბოძის დამონტაჟება 5000 ლარი ჯდება. არ ვართ ქალაქის გალამაზების წინააღმდეგი, მაგრამ ხომ არ აჯობებდა წელსაც იგივე განათების ბოძებს გაენათებინა გზა ფოთელებისათვის და ეს არც თუ ისე ცოტა ფული სხვა, უფრო მნიშვნელოვან საქმეს მოხმარებოდა?!

2017 წლის ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები 660 000 ლარით განისაზღვრა, ეს არის ჯერ არ დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტის ნაწილი და შესაძლებელია შეიცვალოს კიდეც. სოციალური დაცვის პროგრამები 879 500 ლარით, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 82 000 ლარი, კულტურული ღონისძიებები 494 000 ლარით, მშენებლობის სამსახურები 1100 000 ლარი, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამუშაოები 3 484 500 ლარით დაფინანსდება.

მისასალმებელია ის ფაქტი,



რომ მომავალი წლისათვის იგეგმება ბავშვთა საფეხბურთო სკოლისა და მისი სტადიონის კეთილმოწყობა, რომელზეც დაახლოებით 700 000 ლარი დაიხარჯება, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს თანხები ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის. თოდუას განმარტებით, „საფეხბურთო სკოლას ინვესტორები არემონტებენ. მათი სურვილია, კეთილმოეწყოს სკოლის სტადიონი და საფეხბურთო სკოლას ჰქონდეს კარგი ინფრასტრუქტურული ობიექტი".

სამაგიეროდ, ბიუჯეტში ისევ ვერ ვნახეთ ცენტრალური სტადიონის მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხები. როგორც ჩანს, სტადიონი მომავალ წელსაც იმავე სახით დარჩება როგორიც დღეს არის. თუმცა, მერიაში იმედს გამოთქვამენ, რომ ახლადარჩეული პარლამენტის ბიზნესმენი დეპუტატი ამ საკითხს მოაგვარებს. რაც მთავარია, პირობა დეპუტატის მხრიდან დახმარებაზე უკვე გაცემულია. თოდუას თქმითვე, ისინი პრაქტიკულად ვერ შეცვლიან ვერაფერს, რადგან „კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ, თანხა ამოუღებელი გვაქვს. იმ კონტრაქტორის მიმართ სასამართლოში უკვე არის გადაწყვეტილება მიღებული, იმედია, ახლა უზენაესი სასამართლოც მიიღებს ჩვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას. როდესაც ამ თანხებს ამოვიღებთ, ხელახლა ჩატარდება ტენდერი და დაიწყება მშენებლობა". რამდენად შესაძლებელია სტადიონის მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხის ამოღება, ამაზე თოდუას ასეთი პასუხი გააჩნია: „შესაძლებელი ნამდვილადაა ნაწილობრივი ამოღება. ორი კონტრაქტი იყო, ერთ კონტრაქტზე ნამდვილად ვიცით, რომ ამოვიღებთ ნა-

დასასრული 4- გვ.

# „თუ კანონია, ყველასთვის კანონი უნდა იყოს“

## ფოთის აგრარულ ბაზარსა და მერიას შორის გაფორმებულ მემორანდუმს მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ

ივეტა პაჭკორია
ფოთი



ფოთის ბაზრის თემა აქტუალობას არ კარგავს. ჩვენი გაზეთი სისტემატიურად აშუქებს ბაზარში არსებულ პრობლემებს. ფოთის აგრარული ბაზრის გარემოვაჭრეები ამჯერად უკმაყოფილოებას ფოთის მერიასა და შპს „ლუკა"-ს შორის დადებული მემორანდუმის გამო გამოთქვამენ. უკმაყოფილების მიზეზი გარევაჭრობის აკრძალვა და ბაზრის შიდა და გარე პერიმეტრის მოწესრიგებაა, რაც გარემოვაჭრეების აგრარული ბაზრის შენობაში შესვლას ითვალისწინებს. ქალაქის იერსახის მოწესრიგების მიზნით, აგრარული ბაზრისა და მის მიმდებარედ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილის, სამეგრელოს მოედნის მხრიდან ალმაშენებლის ხიდის მხარეს, ასევე სამეგრელოს მოედნის ნაწილისა და ბაზრის შესასვლელი ჭიშკრის მიმდებარე ნაწილის კეთილმოწყობაცაა გათვალისწინებული. როგორც მემორანდუმიდან ირკვევა, ბაზრის ტერიტორიაზე მოეწყობა სანიაღვრე არხები და გზის ძირითად ნაწილზე დაიგება ბეტონის საფარი, კეთილმოეწყობა ტროტუარები, ტროტუარი ასევე კეთილმოეწყობა შოთა მეგრელიშვილის სანაპიროზე. განთავსდება ნაგვისურნები, გაკეთდება განათების ბოძები. მემორანდუმში შემავალი ტერიტორიის მოვლა-პატრონობას შპს „ლუკა" უზრუნველყოფს თავისი ხარჯებით. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე, რათა არ განხორციელდეს გარევაჭრობა, შპს „ლუკა" შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით განახორციელებს მონიტორინგს.

მემორანდუმის პირობები მისასალმებელია როგორც რიგითი ფოთელების, ისე ბაზრის შიდა მოვაჭრეებისთვის. გარემოვაჭრეები კი მემორანდუმის უარყოფით შედეგებზე საუბრობენ, ისინი უნდობლობას უცხადებენ დირექციასაც. როგორც ისინი ამბობენ, გარევაჭრობა ბევრჯერ აიკრძალა, მაგრამ ვერ მოახერხეს გარემოვაჭრეების სრული შეყვანა აგრარული ბაზრის შენობაში, რამაც მოვაჭრეები არათანაბარ პირობებში ჩააყენა და კვლავ გარეთ ვაჭრობა განაგრძეს. გარემოვაჭრეების პროტესტს, პროტესტითვე ხვდებიან ბაზრის შიდა მოვაჭრეები. მათი განმარტებით, ქალაქის მერს არა ერთი წერილი გაუგზავნეს გარევაჭრობის აკრძალვის მოთხოვნით. გთავაზობთ მოვაჭრეების კომენტარებს: „მყიდველი რომ შემოდის ბაზარში, ყოველ ნაბიჯზე გარემოვაჭრეები სხედან და მყიდველიც გარეთ ყიდულობს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ჰიგიენის ნორმები შეძლებისდაგვარად უფრო დაცული გვაქვს, გარეთ კი ყველაფერი მზეზე ან ტალახში დევს. ზოგჯერ დღეში 5 ლარის მეტს ვერ ვვაჭრობ. შემოვიდნენ ისინიც შიგნით და მყიდველიც შიგნით შემოვა. შვილმკვდარი დედა ვარ და ობლებს ხომ ჭირდება რჩენა? მარტო მაგათ ყავთ ოჯახი სარჩენი"?

გარემოვაჭრეებს კი თავისი პრობლემები და პრეტენზიები აქვთ: „ადრეც იყო მცდელობა, მაგრამ ყველა გარემოვაჭრის შიგნით შეყვანა ვერ მოახერხეს. თან ყველა მაინც არ დაეტევა, ეს შეუძლებელია. ამდენი ადგილი იქ არ არის. კი ხედავთ, როგორ წვალებაში ვართ, მაგრამ გვირჩევნია, ასეთ სიცივეში ვიდგეთ და ორი თეთრი გავაკეთოთ, ვიდრე შიგნით შევიდეთ და ვაჭრობა არ გვექნეს. გადახდაზე არ გვაქვს პრეტენზია. ქალები სახლიდან გამოსულები ვართ და თუ ვერ ვივაჭრეთ, რა წავიღოთ სახლში. ყველას ბანკის კრედიტები გვაქვს, სტუდენტ შვილები გვყავს. აქ მდგომი ქალების უმრავლესობა ოჯახის ერთადერთი მარჩენალია".

„გარევაჭრობა მარტო ფოთშია? დედაქალაქშიც კი არის და ფოთი რა გახდა? ოჯახში 5 წევრია და ქალს რომ ელოდებიან, პურს როდის მოიტანსო, იმ ქალმა რა ქნას, შიგნით შევიდეს და კედელს უყუროს"?

„თუ ამ მემორანდუმის განხორციელება დაიწყეს, მაშინ სახლში უნდა დავჯდეთ და უმუშევართა რიცხვს მივემატოთ. რა აზრი ექნება იქ შესვლას? ყველასთვის ადგილი მაინც არ იქნება და ფაქტიურად გამოდის, სახლში გვიშვებენ".

ბაზრის შიგნით მოვაჭრეებს კი გარემოვაჭრეებისათვის პასუხები გააჩნიათ: „რომ აუჩემებიათ, შიგნით ყველა არ დაეტევა, გარეთ მაინც დარჩება მოვაჭრე, შიგნით მყიდველი არ შემოვა და ცოდვა არ ვარო. ჩვენ ცოდვანი არ ვართ, ფეხაცდენილი მყიდველის იმედად რომ ვვაჭრობთ? თუ კანონია, ყველასთვის კანონი იყოს. თუ ყველა შიგნით შემოვა, მყიდველიც აქ შემოვა, სად წავა აბა და ვივაჭრებთ კონკურენციის პირობებში, როგორც წესი და რიგია"?

ბაზრის დირექციის განმარტებით, გარემოვაჭრეებთან მემორანდუმის პირობებზე მოლაპარაკებები უკვე გამართეს და შეთანხმებასაც მიაღწიეს .ბაზრის დირექტორმა თეა ბელქანიამ როგორც გვითხრა, ეს პროცესი მოვაჭრეებისათვის უმტკივნეულოდ მოხდება: „გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მარტო მერიისა და ბაზრის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება არ ყოფილა ეს საკითხი, არამედ ბაზრის შიდა მოვაჭრეების მოთხოვნაც იყო. აგრარული ბაზრის მოვაჭრეებმა მერს რამდენჯერმე წერილით მიმართეს თხოვნით, რომ მომხდარიყო გარევაჭრების ბაზარში განთავსება. 250 ხელმოწერა შეგროვდა. რაც შეხება მეპურეებს, თუ არ მოიძებნა მათთვის შესაფერისი ალტერნატიული ადგილი, ადგილზე გაუკეთდებათ ლამაზი სავაჭრო დახლები, რომ მოვაჭრემაც და მომხმარებელმაც თავი კომფორტულად იგრძნონ. დანარჩენი მოვაჭრეებისათვის გამოყოფილია ალტერნატიული ადგილი ბაზარში. ცარიელია დახლები და მათ სამი თვის განმავლობაში უსასყიდლოდ გადაეცემათ ეს ადგილები. ეს საკითხი ჩვენს მიერ სათანადოდაა შესწავლილი. როგორც გითხარით, მხოლოდ მეპურეების საკითხია ჯერჯერობით გადასაწყვეტი, დანარჩენებს ყველას გააჩნია თავთავიანთი ადგილი".

რაც შეეხება ბაზრის ცენტრალურ გზას, რომელიც მოვაჭრეებს ჩახერგილი აქვთ და იქ მხოლოდ ფეხით მოსიარულე თუ მოახერხებს გასვლას, მემორანდუმის თანახმად, ასევე იქნება აღებული. ბელქანიას განმარტებითვე: „ყველა მათგანს სავაჭრო დახლების უკან ფართები გააჩნიათ, შესაბამისად შეიწევიან უკან და ადგილს დაუბრუნდებიან. ეს მათი უსაფრთხოებისათვისაც საჭიროა. როდესაც ბაზარში 600 ადამიანი ვაჭრობს, იმ ობიექტზე უნდა იყოს სახანძრო და სასწრაფო მანქანების შემოსვლის შესაძლებლობა. იყო შემთხვევა როდესაც მოიჯარე ცუდად გახდა და სასწრაფო დახმარების მანქანა ვერ შემოვიდა. აუცილებელია უსაფრთხოების ზომების მიღება. ზოგი საკითხი მტკივნეული იქნება, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ, ქალაქი ქალაქს უნდა დაემგავსოს. ვთვლი, რომ ბაზარი აუცილებლად უნდა იყოს მოწესრიგებული. ეს არის ქალაქის სახე, ფოთის აგრარული ბაზარი იძლევა იმის საშუალებას, რომ იყოს მოწესრიგებული. ვმართავთ მოლაპარაკებებს გარემოვაჭრეებთან, პირადად შევხვდი და ვესაუბრე მემორანდუმის პირობებზე, მათ არანაირი პრეტენზია ჩვენთან არ გამოუთქვამთ".

რატომ აშინებთ გარემოვაჭრეებს ბაზრის ტერიტორიაზე შესვლა უცნობია, ჩვენ ასევე დავინტერესდით, რას ფიქრობს ამ საკითხზე ქალაქის მოსახლეობა და თავად მყიდველები. მათი უმრავლესობა მიესალმება მემორანდუმის პირობებს. ინეზა თოლორდავას თქმით: „მისასალმებელია ამ შეთანხმების მიღება. ხშირ შემთხვევაში, მეც გარემოვაჭრეებისგან ვყიდულობ, მაგრამ შიგნით რომ შევლენ, მეც თავისთავად შევყვები და იქ უკეთეს პირობებში ვივაჭრებ. თანაც, ქალაქი მოწესრიგდება, რაც არა მარტო მოსახლეობას, მოვაჭრეებსაც უნდა ხიბლავდეს ჩემი აზრით, ჩვენ ყველანი ფოთის მოქალაქეები ვართ".

# „ბრძანება ბრძანებისათვის„ ანუ უნდა იხდიდნენ თუ არა სკოლის მოსწავლეები მგზავრობის საფასურს

დასაწყისი მე-3 გვ.

ან, რადგან მძღოლები ლანძღავენ. მარტო სკოლაში სიარული ხომ არ არის, ხან ცეკვაა, ხან სპორტი და დღეში რამდენიმე ლარი მინდა, ზოგს ამის საშუალება არ აქვს. არ ვიცოდი, თუ სკოლის მოსწავლეებს არ უნდა გადაეხადათ, მაგრამ მძღოლები თუ შეღავათს უფროსებსაც გაგვიწევენ ზოგჯერ მაინც, ეს ბევრისთვის შვება იქნება".

მე-7 სკოლის დირექტორ ნინო მორგოშიასათვის მოსწავლეთა უფასო მგზავრობის შესახებ ბრძანების არსებობა ნამდვილი სურპრიზი აღმოჩნდა. როგორც მან გვითხრა: „ამის შესახებ ინფორმაცია ჩვენთვის არ მოუწოდებიათ. თუმცა, ხშირად შევსწრებივარ, რომ სამარშუტო ტაქსით მგზავრობისას უფულო მოსწავლეზე მძღოლს არანაირი პროტესტი არ განუცხადებია, არ ვიცოდი, კანონი თუ ავალდებულებდა".

ტრანსპორტის სამსახურში როგორც განგვიმარტეს, ყველა მძღოლთან დადებულ ხელშეკრულების ბოლო ფურცელზე შავით თეთრზე წერია - „კონკურსში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს სკოლის მოსწავლეების უფასოდ მომსახურება დღის ნებისმიერ დროს". უნდა აღინიშნოს რომ ყველა მძღოლს ამ დოკუმენტზე ხელი აქვს მოწერილი. ეს არის შარშანდელი ნებართვა, ხოლო ახალი ნებართვა მომდევნო კვირაში უნდა დადგინდეს. იმედს ვიტოვებთ, მძღოლები უფრო ლმობიერები იქნებიან სკოლის მოსწავლეების მიმართ და გაითვალისწინებენ მშობლების მოთხოვნასაც, მით უმეტეს ამას მათ ადგილობრივი ხელისუფლება ავალდებულებს.

p.s ჩვენი ამ თემით დაინტერესების შემდეგ ტრანსორტის სამსახურის თანამშრომლებმა გარკვეული რეაგირება მოახდინეს აღნიშნულ ფაქტზე. მძღოლებს მიეცათ გაფრთხილება მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ. დღეისათვის ქალაქში მომუშავე მძღოლებს, გარდა პრობლემური ხაზისა გაუფორმდათ სამუშაო ხელშეკრულება, როგორც ძველ ასევე ახალ ხელშეკრულებაში გარკვევით წერია, რომ სკოლის მოსწავლეები უნდა გადაადგილდებოდეს უფასოდ. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელის წინააღმდეგ გატარდება მოქმედი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ღონისძიება. რაც შეხება პრობლემურ №20 სამარშუტო ხაზს, ისინი ნებართვას არ მიიღებენ მანამ, სანამ მათსა და ადგილობრივ ხელმძღვანელობას შორის არ შედგება შეთანხმება.

# ფოთს მომავალ წელსაც დეფიციტური ბიუჯეტი ექნება...

დასაწყისი მე-3 გვ.

ხევარ მილიონს, მაგრამ მეორე ნახევარი მილიონის ამოღება ლონდონის ბანკიდან ცოტა საეჭვოა. რასაკვირველია, დაზარალებული ნამდვილად ვართ. ფინანსთა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებში გაგზავნილი გვაქვს წერილები, რომ დახმარება გაგვიწიონ და დასავლეთ ტრიბუნა ბოლომდე მივიყვანოთ. ამისთვის დროებით ვითხოვთ დახმარებას, სანამ ამოვიღებთ იმ მილიონ 240 000, რომ შეივსოს იმ სამუშაოებზე და გამოცხადდეს ტენდერი. მომავალ წელს თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად არ ვიცი, არ მიმიწვდება ხელი ამ სამინისტროებში სასაუბროდ და დასამტკიცებლად ალბათ ჩვენი ხელმძღვანელები, ჩვენი დეპუტატი ჩაერევა აუცილებლად, იცის ამის შესახებ და იმედია, მიაღწევენ შედეგს ჩვენი ქალაქისთვის".

გასული წლების მსგავსად, არც მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იმ მოსახლეობისათვის კომპენსაცია, რომლებსაც წინა მერის ბრძანებით დაუნგრიეს კანონიერად აგებული ავტოფარეხები. ეს პრობლემა წელსაც გადაუჭრელი რჩება ბიუჯეტის სიმცირის გამო. თოდუა იმედს გამოთქვამს, რომ 2018 წლის ბიუჯეტში შეიძლება აისახოს დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაცია, თუმცა, როგორც გავარკვიეთ, ეს იქნება მიზერული, სიმბოლური თანხა, თან, მათ ვისაც საჯარო რეესტრში არ ქონდა გატარებული ავტოფარეხები, ისინი იმ მიზერულ თანხასაც ვერ მიიღებენ: „ეს იყო ყოფილი მერის ლემონჯავას ერთპიროვნული გადაწყვეტილება და წესის მიხედვით, ლემონჯავამ უნდა აანაზღაუროს ზარალი. მას დოკუმენტი არ შეუქმნია, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა საკრებულოს, ემსჯელა კომპენსაციასთან დაკავშირებით. მან გასცა უკანონო ბრძანება ფარეხების დანგრევასთან დაკავშირებით. გამოიყენა მერიის ტრაქტორი, რომელიც გაფუჭდა და რომლის რემონტი მერიას დაახლოებით 30 000 ლარი დაუჯდა". ბოლოს თოდუამ „სასარგებლო“ რჩევა მისცა ავტოფარეხდანგრეულ მესაკუთრეებს - სასამართლოში უჩივლონ მათი ფარეხების დამგრევ ლემონჯავას.

# ეროდი ტიკარაძეს უმაღლესი ჯილდო გადაეცა

მარი ჯავახია
ფოთი

გიორგი ჩიტაიას სახელფოთის სალოტბარო სკოლის დირექტორს იროდი ტიკარაძეს ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“ გადაეცა. ღვაწლმოსილ ლოტბარს ჯილდო კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ გადასცა.

იროდი ტიკარაძე უკვე მე-5 ლოტბარია, რომელიც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ამ ნომინაციაზე წარადგინა. საქართველოში დღეისათვის 17 სალოტბარო სკოლა ფუნქციონირებს.

იროდი ტიკარაძე ღირსების ორდენის კავალერი და ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქეც გახლავთ. სხვადასხვა დროს იყო სენაკში, აბაშაში, ლანჩხუთსა და დედოფლისწყაროს ფოლკლორული გუნდის ხელმძღვანელი. 1973 წლიდან დღემდე მოღვაწეობს ფოთში, 27 წელი ხელმძღვანელობდა ფოთის კულტურის სახლს, შემდგომში ფოლკლორის ცენტრს. სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდა ფოთის ხელოვნების სასწავლებლის ხალხურ საკრავთა ორკესტრს, ამავე სასწავლებლის ბიჭუნათა ანსამბლს და მოგვიანებით გოგონათა ანსამბლ „მახარიას“. არის ანსამბლ „ფაზისი“ (1974), „ნორჩი ფაზისელები (1986), ახალგაზრდული ანსამბლი „ფოთი’ (1996), „კოლხი ბიჭები (2005) დამაარსებელი.



იროდი ტიკარაძის ფოთის კულტურის სახლისა (1980-95) და ფოლკლორის ცენტრის (1995-2007) დირექტორად მუშაობის პერიოდს უკავშირდება ფოთში თოჯინების თეატრის ჩამოყალიბება. ამისთვის სახალხო თეატრის წოდების მინიჭებაც.

ლოტბარი და პედაგოგი იროდი ტიკარაძე დღესაც დაუღალავად იღწვის და ახალგაზრდა თაობებს აზიარებს ქართული ხალხური სიმღერის საშემსრულებლო ხელოვნებას. 2016 წელი იროდი ტიკარაძის საიუბილეო წელია. დღეისათვის მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები მისი დაბადებიდან 75, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნად. წლის ბოლოს შედგება საიუბილეო-შემოქმედებითი საღამო, სადაც იუბილარის ხელმძღვანელობით მონაწილეობას მიიღებენ მოქმედი კოლექტივები და მისი აღზრდილები, დღეს უკვე სხვადასხვა ცნობილი ანსამბლების წევრები, სოლისტები თუ ლოტბარები. მუშაობის პროცესშია წიგნი და დოკუმენტური ფილმი, რომელიც მიეძღვნება იროდი ტიკარაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.



# საქართველოს რეგიონებში 2016 წელს 17 საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

R

საქართველოს მასშტაბით მოქმედ საზოგადოებრივ ცენტრებში 200-მდე ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული და 250 000-მდე სერვისია გაცემული

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას აგრძელებს. საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების პროექტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ პროექტებს შორის, რომლებსაც იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს.

პროექტის მთავარი იდეა საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სოფლის გაძლიერებაა. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით საზოგადოებრივი ცენტრები შენდება მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებში; მრავალრიცხოვან, მჭიდროდ დასახლებულ, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე და საზღვრისპირა სოფლებსა თუ დაბებში.

წელს საზოგადოებრივი ცენტრები ოკუპირებულ რეგიონებთან მოსაზღვრე სამ სოფელში რუხში, ბერძენაულსა და ტყვიავში გაიხსნა. რაც შეეხება საზღვრისპირა სოფლებს, ცენტრები უკვე ფუნქციონირებს არხილოსკალოში, სადახლოსა და ვალეში.

ამჟამად საქართველოს მასშტაბით მოქმედებს 43 ცენტრი, სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს, 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სერვისით ისარგებლოს. სოფელში ცენტრის ფუნქციონირება ნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოფლიდან გაუსვლელად სახელმწიფო და კერძო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საზოგადოებრივი ცენტრის გახსნით სოფლიდან გაუსვლელად ხელმისაწვდომი გახდა სახელმწიფო სერვისების განვითარების, საჯარო რეესტრის და არქივის ყველა სერვისის მიღება. ცენტრებში, ასევე, გაიცემა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სერვისები; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერვისები (მაგალითად, სასკოლო ატესტატის მიღება); სოციალური სააგენტოს სერვისები. ცენტრებში განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა; შეხვედრების ოთახი, რომლის გამოყენებაც ადგილობრივ მოსახლეობას, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს უფასოდ შეუძლიათ; სკაიპის ოთახი; სწრაფი გადახდის აპარატები და სხვ.

საზოგადოებრივი ცენტრი
COMMUNITY CENTRE



საზოგადოებრივი ცენტრის გახსნით სოფლებში არა მხოლოდ საჯარო სერვისები, არამედ „მაგთისა“ და „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებაც გახდა ხელმისაწვდომი, რაც პენსიონერებს პენსიის სოფლიდან გაუსვლელად მიღების, ახალგაზრდებს კი უფასოდ უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის საშუალება მიეცათ. მანამდე ბევრ ამ სოფელში არც ბანკისა და არც მობილური ოპერატორის ოფისები არ არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ წელს ბოლო 43-ე საზოგადოებრივი ცენტრი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმურდოში გაიხსნა. სოფელში მცხოვრები მოსახლეობის 100 პროცენტი ეთნიკურად სომეხია. ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურები ამ სოფელში პირველად ამოქმედდა და ადგილობრივ მოსახელობას შესაძლებლობა მიეცა, იმავე სერვისებით ისარგებლოს, როგორითაც დიდი ქალაქების მცხოვრებნი სარგებლობენ. ახალ წლამდე კიდევ ერთი საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნება. მალე წალკის მოსახლეობაც შეძლებს სახელმწიფო და კერძო სერვისებით ადგილზე სარგებლობას.

დღეისათვის საქართველოს მასშტაბით საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს შემდეგ სოფლებსა და დაბებში: შაშიანში, სართიჭალაში, გომში, რუისში, ჭალადიდში, ხევში, მანგლისში, კოდაში, ფოკაში, ნიგოითში, ჯვარში, შორაპანში, ყვარელწყალში, მუხაესტატეში, გეგუთში, მეჯვრისხევში, კაჭრეთში, ხიდისთავში, ნუკრიანში, კორბოულში, ღორეშაში, კაზრეთში, შილდაში, ორსანტიაში, ქვემო ნატანებში, კაბალში, ლენტეხში, ჩაქვში, ხრეითში, სადახლოში, რუხში, დიდ ჯიხაიშში, მარტყოფში, იორმუღანლოში, არხილოსკალოში, ტყვიავში, ვალეში, ბერძენაულში, უსახელოში, კიცხში, ბარალეთში, ლაჯანასა და კუმურდოში.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინიციატივაა, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. დამატებითი ინფორმაცია საზოგადოებრივი ცენტრების შესახებ ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე (centre.gov.ge).

SWEDEN

# ფინკა ბანკში სესხების აქცია გაგრძელდა და აქციის პარალელურად, ბანკი მომხმარებლებს სიახლეს სთავაზობს

R

ბაზარზე არსებული მოთხოვნის საპასუხოდ, ფინკა ბანკში აქცია ლარში გაცემულ სესხებზე წლის ბოლომდე გაგრძელდა. აქციის განმავლობაში მომხმარებლები 5%-მდე ფასდაკლებას მიიღებენ. სესხის მაქსიმალური ოდენობა 200 000 ლარია. რამ განაპირობა სესხების აქციის გაგრძელება და რა სიახლეებია ფინკა ბანკში, ამის შესახებ ფინკა ბანკის საოპერაციო დირექტორი გიორგი სამადაშვილი გვესაუბრება.



გიორგი სამადაშვილი

- ბატონო გიორგი, დეტალურად რომ ვისაუბროთ აქციის შესახებ - ვის შეუძლია სესხის აღება და რას ვთავაზობთ მომხმარებლებს აქციის ფარგლებში?
- ფინკა ბანკში მართლაც უპრეცედენტო აქცია მიმდინარეობს. ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, ჩვენ აქცია გავაგრძელეთ. იმედი მაქვს, ახლაც აქციით ბევრი მომხმარებელი ისარგებლებს, როგორც ჩვენი არსებული, ასევე ახალი მომხმარებლები. აქციის ფარგლებში, ფინკა ბანკში კლიენტები მიიღებენ5 %-მდე ფასდაკლებას ლარის სესხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა სესხების მოცულობა და სესხების მაქსიმალური ოდენობა 200 000 ლარი გახდა, 30 000 ლარამდე სესხის აღება უკვე გირაოს გარეშეა შესაძლებელი.

მოგეხსენებათ, ლარი ძნელად ხელმისაწვდომია ბაზარზე, რადგან, ძირითადად სესხების გაცემა დოლარში ხდება. ჩვენ გადავწყვიტეთ აქცია გაგვეკეთებინა ლარში სესხებზე, რადგან ეს ესადაგება ჩვენი მომხმარებლების საჭიროებებს და ნაკლები რისკის მატარებელია მომხმარებლისთვის. ჩვენი პორტფელის 65 % სწორედ ლარში გაცემულ სესხებს შეადგენს, რაც ერთერთი ყველაზემაღალი მაჩვენებელია ბაზარზე.

- რა მიზნით შეუძლია მომხმარებელს სესხის აღება - ეს არის მხოლოდ ბიზნესის მქონე პირებისთვის სესხები თუ სხვებსაც შეუძლიათ აქციით სარგებლობა?
- სესხის მიზნობრიობა არ არის შეზღუდული, ნებისმიერი მიზნობრიობით შესაძლებელია გაიცესაღნიშნული სესხი:ბიზნესის განვითარებისათვის, აგრო მიზნებისთვის, ბინისშესაძენად, რემონტისთვის, განათლების დასაფინანსებლად, ნებისმიერი პირადი მიზნისთვის შეგვიძლიადავაფინანსოთჩვენიმომხმარებელი. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ სესხის გადახდის გრაფიკის შედგენა ხდება მომხმარებლების ინტერესებისა დაშემოსავლების მიხედვით, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აგრო სესხებთან მიმართებაში.

რაც ასევე არის საინტერესო, აქციის ფარგლებში, სხვა ბანკის ან მიკრო-საფინანსო ორგანიზაციის მომხმარებლებს საშუალებას ვაძლევთ გააერთიანონ საკუთარი სესხები და ისარგებლონ ჩვენთან ერთი სესხით, რომელიც იქნება ბევრად შეღავათიანი და დაბალპროცენტიანი.

- კონკრეტულად რა ტიპის სესხებს ეხება აქცია?
- სესხის მიზნობრიობა არ არის შეზღუდული და აქციის ფარგლებში გაცემული სესხით მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც ბიზნესის განვითარებისთვის, ასევე სამომხმარებლო და იპოთეკური მიზნებისთვის.
- რატომ გადაწყვიტეთ აქციის გაკეთება ლარში სესხებზე? ხომ არ უკავშირდება ეს დოლარის კურსის ცვლილებას, რომლის გამოც საკმაოდ ბევრი ადამიანი დაზარალდა უკვე კურსის ცვლილების გამო?

ფინკა ბანკი მუდმივად ორიენტირებულია მომხმარებლებზე, დიდ დროს ვუთმობთ ჩვენი მომხმარებლების საჭიროებების შესწავლას. მომხმარებლების მხრიდან საკმაოდ მაღალი მოთხოვნა არის სესხებზე ლარში, რადგან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი ლარშია და დოლარის კურსის ცვლილებიდან გამომდინარე, უჭირთ დაგეგმონ ბიზნესის გრძელვადიანი მიზნები. იმ სეგმენტზე, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, სესხები ლარში რთულადარის ხელმისაწვდომი, მითუმეტეს დაბალ საპროცენტო განაკვეთში და ხანგრძლივი ვადით. სესხების აქციის ერთერთი მიზანი ესეც იყო, რომ სწორედ ასეთმა მომხმარებლებმა, რომლებსაც აქვთ რამოდენიმე სესხი, გააერთიანონ თავიანთიფინანსური ვალდებულებები და ფინკა ბანკშიაიღონ სესხი ლარშიდათან ისარგებლონ დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

ეს აქცია კარგი შესაძლებლობაა იმ მომხმარებლებისთვისაც, რომლებსაც არ სურდათ დოლარში სესხის აღება, ვინაიდან მათ შემოსავლები ლარში აქვთ. ფინკა ბანკი ყველა ასეთ ადამიანს საშუალებას აძლევს ისარგებლოს აქციის ხელსაყრელი პირობებით. მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელმა იმ ვალუტაში აიღოს სესხი, რა ვალუტაშიც აქვს შემოსავალი, რათა ვალუტის კურსის ცვლილებამ მძიმე შედეგი არ იქონიოს მის გადახდის უნარიანობაზე. ფინკა ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს სესხებს ლარში და თანაც დაბალ პროცენტში, ამ ორი კომპონენტის კომბინაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი ყველა მსესხებლისთვის.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი მომხმარებლების ფინანსური განათლების საკითხებსაც, რადგან გვინდა, რომ მათ ინფორმირებული და გააზრებული გადაწყვეტილებები მიიღონ. ამ მიზნით, გერმანული შემნახველი ფონდების წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით მოვახდინეთ ჩვენი თანამშრომლების დატრენინგება, ისინი მომხმარებელს დეტალურად უხსნიან ნებისმიერი პროდუქტის პირობებს და სთავაზობენ, რომ შეადარონპროდუქტის პირობები სხვა ბანკებსა თუ საფინანსო ინსტიტუტებში და შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება.

- ამ დროისთვის, როგორ მიმდინარეობს აქცია, რამდენმა ადამიანმა ისარგებლა აქციით?
- აქცია დავიწყეთ სექტემბრის თვეში და პირველივე დღეებიდან ძალიან დიდი აქტიურობა დაფიქსირდა მომხმარებლების მხრიდან. აქტიურობენ როგორც ფილიალებში, ასევე სოციალურ ქსელში და საკმაოდ ბევრი ზარი შემოდის ბანკის ქოლ ცენტრში. როგორც მოგეხსენებათ, შემოდგომა აქტიური პერიოდია ბიზნესისთვისაც და აგრო მეურნეობებისთვისაც. ხდება მოსავლის აღება, ნედლეულის შეძენა. ამდენად, ჩვენი შეთავაზება მათთვის არის ახალი შესაძლებლობაგანავითარონ ბიზნესი. შემიძლია გითხრათ, რომ აქცია გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და იმედი გვაქვს, ბევრი მომხმარებელი ისარგებლებს ამ მართლაც უპრეცედენტო შეთავაზებით წლის ბოლომდე. სესხების აქციის ფარგლებში ნებისმიერი ინფორმაციის მიღება და სესხზე განაცხადის გაკეთება შესაძლებელია ფინკა ბანკის სერვის ცენტრებში, ბანკის ვებ გვერდზე განაცხადის შევსებით და ასევე, ცხელი ხაზის საშუალებით 24 საათის განმავლობაში, ნომერზე *4949.

- რა სიახლეებია ფინკა ბანკში, სხვა რა აქციებს უნდა ელოდოს მომხმარებელი წლის ბოლომდე?
- ფინკა ბანკშია ქტიურ შემოდგომა გვაქვს. 21 ნოემბრიდან მომხმარებლებს ახალი სერვის პაკეტები შევთავაზეთ. კერძოდ, ფინკა ბანკის „ონლაინ“ ან „ონლაინ+“ პაკეტური შეთავაზების არჩევისას მომხმარებელი მიიღებს წვდომას სრულ საბანკო მომსახურებაზე მომგებიან ფასად – ფაქტობრივად, ერთი პროდუქტის საფასურად ისარგებლებს რამდენიმე საბანკო პროდუქტითა და მომსახურებით, რაც შესაძლებლობასმისცემს მართოს ანგარიშები დისტანციურად. პაკეტური შეთავაზება მოიცავს შემდეგი საბანკო მომსახურებით სარგებლობას: VISA ELECTRON an VISA CLASSIC ბარათი, ინტერნეტ ბანკინგი, მობაილ ბანკინგი, ტელეფონ ბანკინგი, SMS მომსახურება, ავტომატური საბანკო დავალებები და სხვა.დისტანციური სერვისების დანერგვა ბანკის მომხმარებლებისთვის ახალი შესაძლებლობაა მარტივად და კომფორტულად მართონ საკუთარი ფინანსური რესურსები.

რაც შეეხება დეპოზიტების მიმართულებას, ამ მხრივაც საკმაოდ აქტიურად ვითარდება ჩვენი ბანკი. ერთერთი საუკეთესო პირობა გვაქვს ლარის დეპოზიტებზე და ჩვენს მომხმარებლებს საშუალებას ვაძლებთ დააგროვონ თანხა და ამ დაგროვებულ თანხაზე დაერიცხოთ მაღალი სარგებელი.

- და ბოლოს, რატომ უნდა აირჩიოს მომხმარებელმა სწორედ ფინკა ბანკი
- ფინკა ბანკი დღეს არის საქართველოში მოქმედი ერთადერთი ბანკი, რომელსაც აქვს კლიენტების უფლებების დაცვის საერთაშორისო SMART სერტიფიკატი. სწორედ ეს სერტიფიკატი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფინკა ბანკი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციაა. ბანკის პროდუქტები, თუ სერვისები, თითოეულ კლიენტთან ურთიერთობა აგებულია კლიენტების უფლებების დაცვისა და ინტერესების შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტებზე. მაგალითად, სესხის გაცემამდე მაქსიმალურად დეტალურადვაფასებთ ჩვენი კლიენტების შემოსავლებს, რომ კლიენტი დაცული იყოს ჭარბვალიანობისაგან. ყველა მომხმარებლებისთვის ინდივიდუალურად დგება სესხის გადახდის გრაფიკიდა ხდება მისი დეტალური განხილვა კლიენტთან ერთად.რათქმაუნდა, სანამ მომხმარებელი არჩევანს გააკეთებს, აუცილებლად უნდა შეადაროს სხვადასხვა შემოთავაზებები. ჩვენი აზრით, ფინკა ბანკს ამ ეტაპზე ერთერთი საუკეთესო შემოთავაზება აქვს ბაზარზე, განსაკუთრების ლარის სესხების მიმართულებით.

ფინკა ბანკს საქართველოს საფინანსო ბაზარზე ოპერირების 18 წლიანი გამოცდილება აქვს. საბანკო ტრანსფორმაციის შემდეგაც (2013 წლიდან) ბანკი წარმატებით აგრძელებს ქვეყანაში თავისი გლობალური მისიის შესრულებას, ემსახურება 100 000-ზე მეტ მომხმარებელს ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში და სტაბილურად განაგრძობს განვითარებას.



# ფოთელების მოსაზრება ბიუჯეტის პრიორიტეტების შესახებ

2016 წელი იწურება და ხელისუფლების წარმომადგენლები, ჩვეულებისამებრ, მომავალი წლის ხარჯებს ადგენენ, ანუ მომდევნო წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებს განსაზღვრავენ. საინტერესოა, ემთხვევა თუ არა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის შეხედულებები პრიორიტეტებზე და რას მიიჩნევს პრიორიტეტად მოსახლეობა. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვიდან ნათლად სჩანს, რომ მათი აზრი უმრავლეს შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა, მათი მოთხოვნა ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნაა. აღსანიშნავია ისიც, რომ მატერიალური და სოციალური პრობლემების ჩამონათვალის გვერდით ქალაქის იერ-სახისა და მისი ისტორიული ძეგლების შენარჩუნების პრობლემასაც ხედავენ.

დალი ზოიძე - „ბიუჯეტში რა უნდა გაითვალისწინონ, არ ვიცი, მაინც მათი გადასაწყვეტია, ვისურვებდი კი რომ პრიორიტეტი ხალხის სოციალური მდგომარეობის გამოსწორება და მათი დასაქმება გახდეს,. ოღონდ ნამდვილად და არა ქაქანით. კარგი იქნება, თავიანთი ჯიბეების გასქელებაზე ნაკლებად იზრუნონ და ცოტა ყურადღება ჩვენც მოგვაქციონ".

მარინა თავაძე - „სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა პრიორიტეტები ექნება მთავრობას, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს ქალაქს გაალამაზებენ და უფრო უკეთესს გახდიან. ძალიან მინდა, ჩვენი ფოთი უფრო უკეთესი გახდეს".

რუსუდან ალექსანდრია - „ჩვენ გვინდა, რომ ხალხისთვის ჩაიდოს ფული, სოციალური საკითხები გახდეს პრიორიტეტი. წამლის საყიდლად არ გვყოფნის საცოდავი მწირი პენსია და ამათ უზარმაზარი პრემიები და დანამატები არ ყოფნით. ძალიან რთულ მდგომარეობაში ვართ. ქუჩაში ვართ გამოსული და ვვაჭრობთ, რომ ოჯახში პურის ფული შევიტანოთ".

ლეილა არონია - „ხალხისთვის იყვნენ და ხალხს დაეხმარონ. საშინელ მდგომარეობაში ვცხოვრობ, დახმარება მჭირდება. სოციალურად დაუცველი ვარ და აქ ვვაჭრობ. ფუფუნებასა და გამდიდრებაზე არ არის საუბარი, არამედ პურის ფულის შოვნაზე. ასეა მოსახლეობის 80%".

იზოლდა გუნია - „მე ვერ განვსაზღვრავ, კონკრეტულად რა უნდა გაიწეროს ბიუჯეტში, მაგრამ სოციალური ბიუჯეტი შექმნან, არავისი დახმარება არ გვჭირდება, თუ შეიქმნა სამუშაო ადგილები, ადამიანი თავად მიხედავს თავს, ამათმა კი ქალაქს მიხედონ".

ინეზა გულორდავა - „მეტი დახმარება გაუწიონ საკუთარ მოქალაქეებს და ქალაქი დაამსგავონ ქალაქს. ფოთს რომ შეხედავ, მიტოვებული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს, არც ერთ ქალაქზე ნაკლები არ არის ჩვენი ქალაქი და ისტორიულად საქართველოს მარჩენალი ქალაქია. დაუბრუნონ ფოთს თავისი ისტორიული დანიშნულება".

მილენა შელია - „საავადმყოფო აქ არ არის, სტადიონი და გასართობი ჩვენ არ გვაქვს. სოციალურად დაუცველები საშინელ ბინებში ცხოვრობენ. სამუშაო ადგილები არ არის და რაც არის, ისიც მცირდება. საკითხავია, რა არ არის ამ ქალაქში მისახედი და რა არ არის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი?"

იამზე დგებუაძე - „ისტორიული სახლები ნადგურდება და გამკითხავი არავინაა, არ შეიძლება ადგილობრივმა მთავრობამ მის შესანარჩუნებლად ფული გამოყოს და მომავალ თაობას ისტორია შეუნახოს? მაგალითად, პორტის ტერიტორიაზე, თიბისი ბანკის უკან, ისტორიული შენობა დღითიდღე ინგრევა, ასეთი ბევრია, რომელი ერთი ჩამოვთვალო?"

დავით ჭოჭუა - „დარწმუნებული ვარ, საახალწლო და სხვა ღონისძიებებზე, როგორც სხვა წლებში, წელსაც ბლომად ფული ექნებათ გათვალისწინებული. იქნებ, ცოტა რაღაცეებზე უარი ვთქვათ და ქალაქის იერ-სახეს მაინც მივხედოთ, თორემ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას ჯერ პირი არ უჩანს და როდის მოგვარდება, არავინ უწყის".

**გამოკითხვა ჩაატარა ქეთი ჩებანმა**

# მე-7 საჯარო სკოლამ 55 წლის იუბილე იზეიმა

**ქეთი ჩებანი**
**ფოთი**

ფოთის მე-7 საჯარო სკოლამ 2017 წელი საიუბილეო წლად გამოაცხადა და წლის ბოლოს ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით „გზა" 55 წლის იუბილეს მიუძღვნა. ვალერიან გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ, როგორც სკოლის ყოფილი და ამჟამინდელი მოსწავლეები, ისე პედაგოგები, რაც საკმაოდ შტამბეჭდავი გახლდათ. ღონისძიება ფაქტობრივად სკოლის თავგადასავლის გახსენება იყო ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც შეხება ჰქონია ამ სკოლასთან. საკმაოდ ემოციური გამოდგა მე-7 სკოლის პირველი მოსწავლეებისა და მათი პირველი მასწავლებელის კლარა წურწუმიას პირველი შტაბეჭდილებების გახსენება. სკოლას გიორგი ჭყონდიდელის სახელი მიენიჭა. სკოლის დირექტორმა ნინო მორგოშიამ ღონისძიებასთან დაკავშირებით ისაუბრა: „წელს მე-7 სკოლას 55 წელი შეუსრულდა და დავგეგმეთ აქტივობები მთელ წელზე გათვლილი. ამ აქტივობებიდან ნაწილი განხორციელდა უკვე, ნაწილი განსახორციელებელია. განხორციელებულ აქტივობებს შორის მთავარი გახლავთ ის, რომ სკოლას მიენიჭა ღირსი გიორგი ჭყონდიდელის სახელი. ეს ჩვენი მოთხოვნისა და სამინისტროს თანხმობის საფუძველზე მოხდა და ძალიან დიდი პატივია ჩვენი სკოლისთვის. მეორე აქტივობა, რაც ჩვენ განვახორციელეთ 20 ნოემბერს თეატრში გამართული ღონისძიებაა, სახელწოდებით "გზა". ღონისძიება მეტად ემოციური გახლდათ, ფოთის თეატრში შეიკრიბა მე-7 საჯარო სკოლის ძველი და ახალი თაობა. ჩვენ შევეხეთ ყველა იმ სეგმენტს, რომელიც ზოგადად ქმნის სკოლის ცხოვრებას, ეს გახლავთ მოსწავლეები, მასწავლებლები, თემი, რომელშიც სკოლა არსებობს და ჯამში გამოგვივიდა ძალიან კარგი მოფერება ერთმანეთისა, რომელმაც აჩვენა მთელ ქალაქს, რომ მე-7 საჯარო სკოლა, რომელსაც თავისი ტრადიცია, თავისი ხელწერა აქვს, არის ფოთის საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სკოლებს შორის ერთ-ერთი ღირსეული ადგილის მქონე სკოლა". ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ღონისძიების დასასრულს №7 სკოლის დირექტორს ნინო მორგოშიას, ქალაქის მერმა ირაკლი კაკულიამ და რესურსცენტრის დირექტორმა გოჩა ქორქიამ სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ღონისძიება საბოლოოდ სკოლის ჰიმნით დასრულდა. ჰიმნის ტექსტი და მუსიკა ყოფილმა მე-7 სკოლელებმა შექმნეს. ტექსტი ეკუთვნის მე-3 სკოლის მასწავლებელს შორენა გუჯაბიძეს და მუსიკის ავტორი მარიკა ბუკია გახლავთ. სკოლაში უნდა გაიმართოს შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც სხვა ჯერ კიდევ განუხორციელებელ აქტივობებს შეაჯამებს და კიდევ ერთხელ მოისმენენ ბავშვები სკოლის ჰიმნს. შემდეგ კი ამ ჰიმნს ყველა ღონისძიებაზე გამოიყენებენ. ღონისძიების ბოლოს მე-7 სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა სამახსოვრო ხელმოწერები დატოვეს საგანგებოდ შექმნილ დაფაზე.




## სპორტი

# ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-7 საჭადრაკო ფესტივალი ფოთში

ფოთის ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო სკოლაში 26 ნოემბრიდან სტარტი აიღო ცნობილი ფოთელი საზოგადო მოღვაწის, ბიზნესმენის და ქველმოქმედის, შ.პ.ს "კავტრექს ფოთის" ერთ-ერთი დამაარსებლის და ყოფილი გენერალური დირექტორის, ჭადრაკის მოყვარულის, ბატონი ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილმა მე-7 საჭადრაკო ფესტივალმა, რომელიც 10 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. ფესტივალის გენერალური სპონსორია შ.პ.ს. "კავტრექს ფოთი".

ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი VII საჭადრაკო ფესტივალის დღეებში დაგეგმილია საჯარო სკოლების პირველობა, პირველობა ოჯახთა შორის, ასაკობრივი და დამწყებ მოჭადრაკეთა ტურნირები, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის ღია აბსოლუტური ჩემპიონატი.

აღნიშნული ფესტივალის დაწყებამდე კი ფოთის საჭადრაკო სკოლის პატარა სპორტსმენებმა იასპარეზეს დავით ჩირაძის სახელობის საჭადრაკო ტურნირზე 10, 8 და 7 წლის მოჭადრაკეთა გუნდებს შორის, რომელიც ქუთაისის მაია ჩიბურდანიძის სახელობის



საჭადრაკო სკოლაში ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ტურნირში ტრადიციულად, გასული წლების მსგავსად ბრწყინვალედ იასპარეზეს ფოთის ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო სკოლის გუნდებმა. 7 წლამდე მოჭადრაკეთა ტურნირში ერთი ტურით ადრე გაინაღდა ჩემპიონობა და კონკურეტები დიდი სხვაობით ჩამოიტოვა ფოთის „ნანამ" შემდეგი შემადგენლობით:

1-ლი დაფა - გიორგი კვარაცხელია (მწვრთნელი - ზურაბ ჩხარტიშვილი),
მე-2 დაფა - ალექსანდრე გარუჩავა (მწვრთნელი - გოჩა ჩაჩუა),
მე-3 დაფა - გაბრიელ ხუბულავა (მწვრთნელი - გოჩა ჩაჩუა,)
მე-4 დაფა - ლიზი სარიშვილი (მწვრთნელი - გიორგი ღლონტი).

10 წლამდე მოჭადრაკეთა შორის კი ასევე მთელი ტურნირის განმავლობაში ლიდერობდა და პირველობა მოიპოვა ფოთის "ნანამ":

1-ლი დაფა - თეიმურაზ კვიკვინია (მწვრთნელი - გოჩა ჩაჩუა),
მე-2 დაფა - გიორგი სიჭინავა (მწვრთნელი - გოჩა ჩაჩუა),
მე-3 დაფა - კახაბერ კიზირია (მწვრთნელი - დათო კოდუა),
მე-4 დაფა - ლიზი ფოჩხუა (მწვრთნელი - გოჩა ჩაჩუა).

ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, იმერეთის ჭადრაკის ფედერაცია, ქუთაისის მერია და ააიპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების საჭადრაკო სკოლა. ტურნირის საპრიზო ფონდი შეადგენდა 5000 ლარს. დავით ჩირაძის სახელობის ტურნირზე საერთო ჯამში 44–მა გუნდმა და 170–მდე მოჭადრაკემ იასპარეზა. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 7 ტურად ჩატარდა.

# მანანა ნაჭყებია-გობეჯიშვილს

შენზე წარსულ დროში საუბარი, შენი გახსენება წარმოუდგენლად მტკივნეულია ჩვენთვის, შენი უახლოესი ადამიანებისათვის და არამარტო ჩვენთვის. შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ უდიდესი მწუხარება მიანიჭა ყველას, ვინც გიცნობდა, ვისაც დაუღალავად, უანგაროდ უნაწილებდი შენი უზარმაზარი გულის სითბოსა და სიკეთეს. როგორ ჩქარობდი ყველასათვის დახმარება გაგეწია, ყველას მიმართ სითბო და სიკეთე გამოგეხატა, ყველას მოფერებოდი. ალბათ იმიტომ, რომ ამ ქვეყნად ასე მოკლე დრო გქონდა დარჩენილი.
მანა, როგორ გვაკლიხარ!
როგორ გვენატრები!
როგორ გვტკივა უშენობა!
როგორ მოგინელოთ?
რით დავიმშვიდოთ თავი?
შენ ასეთი მზრუნველი, მოსიყვარულე და სიკეთით აღსავსე იყავი, გინდოდა ყველასთვის გაგენაწილებინა შენი გულის სითბო და სიყვარული. სამაგიეროდაც იგივეს იღებდი, ყველას უყვარდი, ყველას საშინლად ატკინე გული შენი უეცარი და მოულოდნელი წასვლით, ყველამ, ვინც გიცნობდა, ცრემლით გიტირა.
მანა, ძალიან გვენატრები!
ძალიან გვაკლიხარ!
ძალიან გვიჭირს უშენობა,
მაგრამ სამწუხაროდ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. შენთვის, შენი სპეტაკი სულისთვის ვლოცულობთ.

დაბადების დღეს გილოცავთ მანანა!

შენს საყვარელ ყვავილებს აუცილებლად მოგიტანთ, რაოდენ სამწუხაროა, რომ საფლავზე მოვალთ და მოგილოცავთ.

უფალმა აცხონოს შენი ლამაზი, კეთილი სული,

ამინ.

შენი ოჯახი



## ქირავდება

ფოთში ქირავდება ერთოთახიან საცხოვრებელ კეთილმოწყობილ ავეჯიან ბინას
ტელ: 597 24 11 12 ქეთინო

სენაკში ქირავდება კერძო საცხოვრებელ კეთილმოწყობილ სახლს ეზოთი. დამიკავშირდით
ტელ: 574 35 75 89 მერაბი

## იყიდება

ფოთში იყიდება ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა ჟიქიას №9, 3-ე სართულზე, მოშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 568 42 14 57 ჯემალი, 579 70 65 34 ანა

ხობში სოფელ ხეთაში იყიდება კერძო კეთილმოწყობილი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ხეხილით განაშენიანებული ეზოთი, ფასი შეთანხმებით.
ტელ: 595 11 17 45 ვასიკო

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2
ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში თქვენი პრობლემების კვალდაკვალ